თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და ფორმატი

1. ზოგადი მოთხოვნები სადისერტაციო ნაშრომის მიმართ

სადისერტაციო შრომა წარმოადგენს კოჰერენტული სტრუქტურის მქონე ტექსტს, რომლის ცალკეული ნაწილები (თავები) ლოგიკურად ასახავს სადისერტაციო ნაშრომის ძირითად არგუმენტებსა და თეზას. ნაშრომის სტრუქტურა ნათლად წარმოაჩენს კვლევის შედეგად მიღებულ ახალ ცოდნას და ასახავს იმ მეთოდოლოგიურ მიდგომას, რომელსაც ეფუძნება სადისერტაციო კვლევა. სადისერტაციო ნაშრომს უნდა ჰქონდეს შესავალი თავი და ძირითადი თავები. შესავალ თავში ნათლად უნდა იყოს წარმოჩენილი კვლევის ძირითადი კითხვები, პრობლემატიკა. ის ასევე უნდა ხსნიდეს ძირითადი თავების/ნაწილების შინაარსსა და ურთიერთმიმართებას. შესავალი თავი/ნაწილი, როგორც წესი, ასევე მოიცავს (დისციპლინის მოთხოვნებიდან გამომდინარე) რელევანტური ლიტერატურის მიმოხილვას, თეორიული და/ან კონცეპტუალური ჩარჩოს შემუშავებას, მეთოდოლოგიური მიდგომის დეტალურ ახსნას.

სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სადისერტაციო საბჭოს მიერ სადოქტორო ნაშრომებისათვის რეკომენდებულია შემდეგი სტრუქტურა:

- თავფურცელი
- დარგობრივი კომისიის რეკომენდაცია
- დეკლარაცია
- აბსტრაქტი
- მადლობა
- სარჩევი
- ცხრილების ჩამონათვალი
- გრაფიკების ჩამონათვალი
- სურათების ჩამონათვალი
- აბრევიატურების ჩამონათვალი
- დისერტაციის ძირითადი ტექსტი:
    - შესავალი (სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა და მეთოდოლოგია შეიძლება იყოს შესავალის ნაწილი ან ცალკე თავად წარმოდგენილი)
    - ძირითადი თავები/ნაწილები

- დასკვნა
- ბიბლიოგრაფია
- დანართი

დისერტაციის თავები წარმოადგენენ ნაშრომის ძირითად ერთეულებს (ძირითად ტექსტს), რომლებშიც, თემატური დაყოფის შემთხვევაში, შეიძლება ქვეთავები და უფრო მცირე ქვედანაყოფები გამოიყოს. დისერტაციის ტექსტს წინ უძღვის სპეციალური გვერდები (თავფურცელი, აბსტრაქტი, სარჩევი და სხვა), რომელთა ფორმატირების წესები შეიძლება განსხვავდებოდეს დისერტაციის ტექსტის ფორმატირების წესებისაგან.

2. დისერტაციის ფორმატირების ზოგადი წესები

2.1 დისერტაციის ტექსტი

<u>გვერდის ზომები</u>

- ფურცლის ზომა: A4
- ტექსტის დაშორება ფურცლის კიდეებიდან:
  - მარცხენა (ველი) - 3 სმ.
  - ზედა - 2 სმ; ქვედა- 2 სმ მარჯვენა - 1.5 სმ.

<u>ტექსტის განლაგება</u>

- ძირითადი ტექსტი - უნდა გასწორდეს მარცხენა და მარჯვენა საზღვრების გასწვრივ;
- თავების და ქვეთავების სათაურები - არ სჭირდება ცენტრირება, იწყება მარცხენა მხრიდან (ველიდან);
- თვალსაჩინოებები და მათი სათაურები - ცენტრირებული.

<u>შრიფტი:</u>

- შრიფტი - Sylfaen, ზომა - 12.

<u>დაშორება სტრიქონებს შორის</u>

- ინტერვალი ტექსტის სტრიქონებს შორის - 1.5;
- 1.0-იანი ინტერვალი გამოიყენება შემდეგ შემთხვევებში:
  - სათაურებში, რომელთა სიგრძე აღემატება ერთ სტრიქონს;
  - ბიბლიოგრაფიაში;
  - ილუსტრაციის სათაურსა და ლეგენდაში;
  - პირდაპირი ციტირების შემთხვევაში, რომელიც ცალკე აბზაცითაა წარმოდგენილი;
  - შენიშვნებში;

- ჩამონათვალის ტექსტში.

<u>პარაგრაფი:</u>
შესაძლებელია ქვემოთ მოცემული ორი სტილიდან ერთ–ერთის გამოყენება:

- აბზაცი 1.25 სმ, პარაგრაფებს შორის სტრიქონი არ არის გამოტოვებული
  ან,
- აბზაცი არ არის დაცული, მაგრამ პარაგრაფებს შორის ერთი სტრიქონია გამოტოვებული (*ამ დოკუმენტში ეს სტილია გამოყენებული*).

<u>გვერდის ნომერი</u>

- გვერდის ნომერი იბეჭდება ფურცლის ქვედა ნაწილში მარჯვენა მხარეს;
- ძირითადი ტექსტის დაწყებამდე, ყველა გვერდი (დეკლარაცია, დარგობრივი კომისიის რეკომენდაცია, აბსტრაქტი, მადლობა, თვალსაჩინოებების სია, აბრევიატურა) ინომრება რომაული ციფრებით (მაგ.: i, ii, iii, iv და ა.შ.).
- ძირითადი ტექსტის შესავალი და ყველა მომდევნო ნაწილი, ბიბლიოგრაფიისა და დანართის ჩათვლით, ინომრება არაბული ციფრებით (მაგ.: 1, 2, 3 და ა.შ.).

<u>ძირითადი ტექსტის დასათაურება:</u>
თავები უნდა დაინომროს არაბული ციფრებით (დასათაურების პირველი დონე). მაგ,:

1. შესავალი
2. ლიტერატურული მიმოხილვა
3. მეთოდოლოგია

და ა.შ.

<u>ქვეთავები უნდა დაინომროს თავების მიხედვით:</u>

3. მეთოდოლოგია
    3.1 სამეცნიერო ჰიპოთეზა
    3.2 საველე კვლევა
    3.3 დისკურსის ანალიზი
        3.3.1.სოციოლინგვისტური ანალიზი

ყველა თავი უნდა დაიწყოს ახალი გვერდიდან. თავის სათაური და ტექსტი დაცილებული უნდა იყოს ერთმანეთს ერთი სტრიქონით. ქვეთავის სათაური დაცილებული უნდა იყოს როგორც წინა, ასევე მომდევნო ტექსტს ერთი სტრიქონით. თავისა და ქვეთავის სათაურების ერთმანეთისგან დაშორება არ არის აუცილებელი.

2.2 თვალსაჩინო მასალის განლაგება და დანომრვა

თვალსაჩინო მასალა მოიცავს: ცხრილებს, გრაფიკებს, სურათებს და სხვ. მცირე ზომის ილუსტრაციისათვის დასაშვებია გვერდზე განთავსების ორი წესი. ამ ორიდან აირჩიეთ და გამოიყენეთ მხოლოდ ერთ-ერთი:

- თვალსაჩინოება უნდა განლაგდეს რაც შეიძლება ახლოს, მისი პირველად ხსენების ადგილიდან

ან

- თვალსაჩინოება უნდა განლაგდეს იმ თავის ბოლოს (თავის ტექსტის დასრულების შემდეგ), სადაც მას პირველად იხსენიებს ავტორი.

დიდი ზომის თვალსაჩინოება შეიძლება განლაგდეს ცალკე გვერდზე ძირითად ტექსტში, მისი პირველად ხსენების ადგილთან ახლოს ან დანართში.

ყველა თვალსაჩინოებას უნდა ჰქონდეს ნომერი და დასათაურება. დანომრვა უნდა გასდევდეს დისერტაციის მთელ ტექსტს. ცხრილები, გრაფიკები, სურათები ინომრება ცალ-ცალკე, მაგალითად:

- სურათი 1: საქართველოს რუკა
- გრაფიკი 1: სოციალური სტატუსის დამოკიდებულება პოზიტიურ პოლიტიკურ ატიტუდებზე
- ცხრილი 1: დისპოზიციური სპექტრის შეჯამება

3. ტექსტის წინა გვერდების ფორმატირების განსაკუთრებული მოთხოვნები

3.1 თავფურცელი

სადისერტაციო ნაშრომის თავფურცელზე მითითებული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

- **სადისერტაციო ნაშრომის სრული სათაური;**
- **დისერტანტის სახელი და გვარი;**
- ტექსტი *"სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების საბჭოზე სოციალურ / ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად"*
- სამეცნიერო ხელმძღვანელის სახელი და გვარი;
- უნივერსიტეტის სახელწოდება (თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი);
- ნაშრომის წარდგენის ადგილი და წელი.

თავფურცლის ფორმატირება:

- ტექსტი უნდა იყოს ცენტრირებული;
- სადისერტაციო ნაშრომის სათაური და სტუდენტის სახელი და გვარი - გამუქებული (bold) შრიფტით;
- სტანდარტული ტექსტი სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის შესახებ - დახრილი შრიფტით.

სადისერტაციო ნაშრომის სათაური

დისერტანტის სახელი და გვარი

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის
სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების სადისერტაციო საბჭოზე
სოციალურ / ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სახელი, გვარი, აკადემიური ხარისხი

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

თბილისი, 202..

3.1 სამეცნიერო მიმართულების კომისიის რეკომენდაცია

ეს გვერდი წარმოადგენს დარგობრივი კომისიის მიერ გაცემულ ოფიციალურ რეკომენდაციას, რომლის საფუძველზე სადისერტაციო საბჭოს მიერ ინიშნება დაცვის თარიღი და დაცვის ოპონენტები:

დისერტანტი: _____ /სახელი და გვარი/

დისერტაციის სათაური:

დისერტაციის დაცვის თარიღი: --------

რეცენზენტი 1: /სახელი, გვარი/

რეცენზენტი 2: /სახელი, გვარი/

რეკომენდებულია დაცვისათვის -------- (მაგ.: სოციოლოგიის) სამეცნიერო მიმართიულების კომისიის მიერ.

თავჯდომარე, /სახელი, გვარი/ : _____
(ხელმოწერა)

წევრი, /სახელი, გვარი/: _____
(ხელმოწერა)

წევრი /სახელი, გვარი/: _____
(ხელმოწერა)

სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის დეკანი: _____ / სახელი, გვარი/
(ხელმოწერა)

სადოქტორო სკოლის კოორდინატორი: _____ / სახელი, გვარი/
(ხელმოწერა)

თარიღი: --------

3.2 ავტორის დეკლარაცია

ავტორის დეკლარაცია წარმოადგენს დისერტანტის განაცხადს მის მიერ წარმოდგენილ ნაშრომში პლაგიატის არარსებობის შესახებ. სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების საბჭოს მოთხოვნით, გამოყენებულ უნდა იქნეს შემდეგი ტექსტი:

ავტორის დეკლარაცია

"როგორც წარმოდგენილი სადოქტორო დისერტაციის ავტორი, ვაცხადებ, რომ ჩემი დისერტაცია წარმოადგენს ორიგინალურ ნაშრომს და მასში სხვა ავტორების აქამდე გამოქვეყნებული, გამოსაქვეყნებლად მიღებული ან დასაცავად წარდგენილი მასალები გამოყენებულია ციტირების სათანადო წესების დაცვით."

სახელი, გვარი (ხელმოწერა)

თარიღი: რიცხვი, თვე, წელი

3.3 აბსტრაქტი

აბსტრაქტი სადისერტაციო თემის აქტუალურობის, გამოყენებული მეთოდების, შედეგებისა და დასკვნების მოკლე შინაარსია. მასში არ გამოიყენება ციტირებები და საილუსტრაციო მასალა. ის იწერება ცალკე გვერდზე ორ ვერსიად: ქართულად და ინგლისურად. აბსტრაქტის ტექსტი არ უნდა აღემატებოდეს 350 სიტყვას. მიღებულია აბსტრაქტში წყაროების მითითება. მის ქვემოთ უნდა იყოს მოცემული მინიმუმ სამი, მაქსიმუმ ხუთი საძიებო სიტყვა.

აბსტრაქტისა და სადისერტაციო ტექსტის ადეკვატურობას ხელმოწერით ადასტურებს ხელმძღვანელი.

აბსტრაქტი

_____
_____
_____
_____
_____

საძიებო სიტყვები: 1. ..... , 2. ..... , 3. .....

Abstract

_____
_____
_____
_____
_____

Key Words: 1. ..... , 2. ..... , 3. .....

ხელმძღვანელი, სახელი და გვარი /ხელმოწერა/

3.4 მადლობა

მადლობა იწერება ცალკე გვერდზე. მადლობის გვერდზე დისერტანტს საშუალება ეძლევა, მადლობა გადაუხადოს და აღნიშნოს ყველას წვლილი, ვინც მონაწილეობა მიიღო დისერტანტის მიერ შესრულებულ კვლევაში ან ხელი შეუწყო ამ კვლევის შესრულებას, მათ შორის დისერტაციის ხელმძღვანელ(ებ)ის, ინსტიტუტის, კოლეგების, საგრანტო დაწესებულებების, კვლევის მონაწილეების, და ა.შ.

3.5 სარჩევი

სარჩევში ჩამოთვლილია დისერტაციის ყველა ნაწილი, თავი და ქვეთავი მათი თანმიმდევრობის შესაბამისად და გვერდის ჩვენებით.

სარჩევი

დეკლარაცია.....	.....	i
დარგობრივი კომისიის რეკომენდაცია..	.....	ii
აბსტრაქტი.....	.....	iii
მადლობა.....	.....	iv
სარჩევი.....	.....	iv
ცხრილების სია.....	.....	vi
გრაფიკების სია.....	.....	vii
აბრევიატურა.....	.....	viii
1. შესავალი.....	.....	1
2. სამეცნ. ლიტერატურის მიმოხილვა	....	3
2.1 სათაური.....	.....	3
2.2 სათაური.....	.....	12
3. მეთოდოლოგია	.....	23
3.1სათაური.....	.....	23
3.2 სათაური	.....	29
3.2.1 სათაური.....	.....	29
3.2.2 სათაური.....	.....	35
3.3 სათაური	.....	42
4. შედეგები.....	.....	47
5. შედეგების განხილვა.....	.....	59
6. დასკვნა და რეკომენდაციები.....	.....	78
ბიბლიოგრაფია.....	.....	90
დანართები	.....	99
დანართი 1: სათაური.....	.....	99
დანართი 2: სათაური.....	.....	101

3.6 ცხრილების, გრაფიკებისა და სურათების სია

თავებისა და ქვეთავების სარჩევის შემდეგ მოდის თვალსაჩინოებების სრული ჩამონათვალი. ცხრილები, გრაფიკები, სურათები და სხვა თვალსაჩინოებები ცალ-ცალკე სიებად და სხვადასხვა გვერდზე უნდა იყოს წარმოდგენილი. სიაში უნდა მიეთითოს თვალსაჩინოების ნომერი, სათაური და გვერდის ნომერი.

სურათები

1: სათაური.....12
2: სათაური.....15
3: სათაური.....87

ცხრილები

1: სათაური.....25
2: სათაური.....31
3: სათაური.....33

გრაფიკები

1: სათაური.....27
2: სათაური.....41
3: სათაური.....77

3.7 აბრევიატურა

თუ ნაშრომში გამოყენებულია აბრევიატურები, მათი ჩამონათვალი და განმარტებები უნდა მოსდევდეს თვალსაჩინოებების სიას, ძირითადი ტექსტის დაწყებამდე. მაგალითად:

- ააი - აზია აფრიკის ინსტიტუტი.

ტექსტში დასაშვებია ინგლისური აბრევიატურების გამოყენება. ასეთ შემთხვევაში, ის ინგლისურად და ქართულად უნდა იყოს განმარტებული. მაგალითად:

- ANT – Actor Network Theory აქტორთა ქსელის თეორია.

4. დისერტაციის თავები

4.1 შესავალი

შესავალი უნდა იყოს მოკლე და ლოგიკურად შეკრული, რადგან პირველ რიგში სწორედ მას ეცნობა მკითხველი. სადისერტაციო ნაშრომის შესავალი იწყება, როგორც წესი, საკვლევი პრობლემის განხილვით, მისი თეორიული საფუძვლებისა ან/და ისტორიული რაკურსის მოკლედ წარმოჩენით. ავტორმა ნათლად უნდა წარმოადგინოს საკვლევი პრობლემა/თემა და ამის საფუძველზე ჩამოაყალიბოს კვლევის ჰიპოთეზა, მიზანი და ამოცანები. აგრეთვე, მან უნდა მიუთითოს კვლევის აქტუალურობაზე და მოკლედ გადმოსცეს დისერტაციის სტრუქტურისა და დანარჩენი თავების არსი.

4.2. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა საკვლევი თემის ირგვლივ გამოქვეყნებული სტატიების, წიგნების, მონოგრაფიების, კონფერენციის მასალების, სადისერტაციო ნაშრომებისა და სხვათა მიმოხილვაა. ასევე, შეიძლება გამოყენებულ იქნას გამოუქვეყნებელი მასალები, მაგ.: დასაბეჭდად მომზადებული სამეცნიერო სტატიები, მოხსენებები, და ა. შ. ეს პუბლიკაციები უნდა ეკუთვნოდეს წამყვან მეცნიერებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ სამეცნიერო პრობლემის შესწავლაში. მნიშნელოვანია, რომ დისერტანტმა მიმოიხილოს უახლესი ლიტერატურა და/ან მიღწევები, რაც ხელს შეუწყობს შესაბამის საკითხზე თანამედროვე ცოდნის წარმოჩენას, კვლევის სიახლისა და აქტუალურობის დადასტურებას.

ლიტერატურულ მიმოხილვაში მკაფიოდ უნდა გამოჩნდეს, თუ რატომ მუშაობენ სხვა მეცნიერები ამ თემაზე, რა მიდგომები და მეთოდები გამოიყენეს და რა შედეგებს

მიაღწიეს მათ საკითხების კვლევისას. ამ კონტექსტში უნდა გამოიკვეთოს დისერტანტის მიერ შესრულებული კვლევის თეორიული საფუძველი, პრაქტიკული მნიშვნელობა და სიახლე.

ლიტერატურული მიმოხილვა დისერტანტს აძლევს საშუალებას, წარმოაჩინოს თავისი მეცნიერული ერუდიცია და კრიტიკული ანალიზის უნარი. მან უნდა შეძლოს თავისი თემის ირგვლივ სხვა მეცნიერების სამეცნიერო არგუმენტების კრიტიკული გაანალიზება და ამ არგუმენტების გამოყენება თავისი სამეცნიერო კვლევის აქტუალობისა და მეთოდოლოგიური მიდგომის სისწორის დასასაბუთებლად.

ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე, დოქტორანტმა უნდა შეიმუშაოს მისი საკვლევი საკითხისთვის რელევანტური თეორიული ჩარჩო, განსაზღვროს მეთოდოლოგიური მიდგომა და განსაზღვროს კონცეპტუალური აპარატი, რომლის საფუძველზეც განავითარებს არგუმენტეს და განავრცობს მსჯელობას სადისერტაციო ნაშრომში.

ლიტერატურული მიმოხილვა უნდა იყოს გასაგებად დაწერილი, მწყობრი და მასში განხილული დებულებები ლოგიკურად უნდა მიჰყვებოდნენ ერთმანეთს. ლიტერატურული მიმოხილვა არ უნდა შეიცავდეს დაუსაბუთებელ დებულებებს ან არგუმენტებს.

4.3 მეთოდოლოგია

ნაშრომის ამ ნაწილში დეტალურად უნდა იყოს აღწერილი კვლევის ობიექტი, პროცედურები, კონცეპტუალური ინსტრუმენტები, მონაცემები და მათი შეგროვებისა და ანალიზის (თვისებრივი თუ რაოდენობრივი) მეთოდები. მეთოდოლოგიურ ნაწილში, დოქტორანტის მთავარი ამოცანაა, დაასაბუთოს რომ მის მიერ არჩეული კვლევის გზა, მეთოდოლოგიური ინსტრუმენტები, მონაცემების მოპოვების საშუალებები და მასალის ბუნება ადეკვატურია მის მიერ დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად.

მეთოდების განხილვისას, დისერტანტმა უნდა დაასაბუთოს გამოყენებული მეთოდების რელევანტობა და ეფექტიანობა. მან უნდა განიხილოს ის შეზღუდვები კვლევასა და მონაცემების შეგროვებაში, რომლებიც დაკავშირებულია ამ მეთოდების გამოყენებასთან.

გამოყენებული მეთოდოლოგია საკმარისი დეტალურობით უნდა იყოს გადმოცემული, რომ სხვა, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მეცნიერმა, საჭიროებისამებრ, შეძლოს ნაშრომში აღწერილი თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომის გამეორება.

4.4 შედეგები

ამ თავში დისერტანტი წარადგენს შედეგებს საკუთარი ინტერპრეტაციის გარეშე, მიუკერძოებელი დისკუსიის ფორმატში. შედეგების წარდგენის სტილი მეტწილად დამოკიდებულია კვლევის ტიპზე და გამოყენებულ მეთოდოლოგიაზე.

შედეგები უნდა იყოს წარმოდგენილი ლოგიკურად, გარკვეული სისტემის მიხედვით; სასურველია, რომ იმეორებდეს მეთოდოლოგიის თავში მეთოდების განხილვის თანმიმდევრობას. დისერტანტმა უნდა აღწეროს ამ თავში წარმოდგენილი თითოეული გრაფიკი, ცხრილი და სურათი. რაოდენობრივ კვლევაში მნიშვნელობის მქონედ უნდა გამოცხადდეს მხოლოდ ის მიღებული სიდიდეები, რომელთა მნიშვნელობა სტატისტიკურად არის დადასტურებული.

სასურველია, რომ ეს თავი დასრულდეს შემაჯამებელი დებულებებით, რომლებიც უზრუნველყოფენ მის ლოგიკურ კავშირს შემდეგ თავთან.

რეკომენდებულია ვრცელი ცხრილებისა და თვალსაჩინოებების გადატანა დანართში.

4.5. ძირითადი თავები

ნაშრომის ძირითადი თავები ლოგიკურად უნდა იყოს დალაგებული და მათი თანმიმდევრობა უნდა შეესაბამებოდეს ნაშრომის პირველ ნაწილში გავრცობილ ძირითად და ქვეარგუმენტებს. ძირითად თავებში დოქტორანტმა თანმიმდევრულად

უნდა განავრცოს მსჯელობა ისე, რომ მსჯელობა მეთოდურად პასუხობდეს დისერტაციის მიერ დასმულ თეორიულ და ემპირიულ პრობლემას.

4.6 დასკვნა და რეკომენდაციები

ამ თავში დისერტანტი აჯამებს თავისი კვლევის შედეგებს და შეძლებისდაგვარად განაზოგადებს, ისე რომ კიდევ ერთხელ აჩვენოს მის მიერ შექმნილი ცოდნის რელევანტურობა, როგორც არსებული სამეცნიერო ლიტერატურის კონტექსტში, ისე მომავალი კვლევებისთვის მსგავს ან მომიკნავე საკითხებზე. დაკსვნით ნაწილში, კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე დოქტორანტს ასევე შეუძლია ჩამოაყალიბოს მის მიერ შექმნილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობა.

4.7 ბიბლიოგრაფია და დამოწმების წესი

სადოქტორო ნაშრომში გამოყენებული წყაროები (ნაბეჭდი და ელექტრონული) მითითებული უნდა იყოს ანბანის მიხედვით, დანომვრის გარეშე. პირველ რიგში, მითითებული უნდა იყოს ქართული, შემდეგ კი ლათინური ანბანით და კირილიცით დაწერილი წყაროები.

გამოყენებული ლიტერატურის სწორად ციტირებისა და დამოწმებისათვის დოქტორანტმა უნდა იხელმძღვანელოს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მიერ აღიარებული სტანდარტის (ჩიკაგოს სტილი) მიხედვით, მაგ.:

მონოგრაფია

<u>**სქოლიო**</u> **(footnotes):** ავტორის სახელი და გვარი, *სათაური* (გამოცემის ადგილი: გამომცემელი, წელი), შესაბამისი გვერდის ნომრები.

არნოლდ ჩიქობავა, *იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია: სახელმძღვანელო ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტებისათვის* (თბილისი: განათლება, 1965), 35-36.

Adrian Johns, *The Nature of The book: Print and Knowledge in Making* (Chicago: University of Chicago Press, 1998), 623.

<u>**ბიბლიოგრაფია**</u>: ავტორის გვარი, სახელი. *სათაური.* გამოცემის ადგილი: გამომცემელი, წელი.

ჩიქობავა, არნოლდ. *იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია: სახელმძღვანელო ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტებისათვის.* თბილისი: განათლება, 1965.

Johns, Adrian, *The Nature of The book: Print and Knowledge in Making*. Chicago: University of Chicago Press, 1998.

თუ იმავე წყაროს სხვა შენიშვნაშიც მიუთითებთ, შეგიძლიათ, შემდგომი შენიშვნები შეამოკლოთ: ავტორი, შემოკლებული სათაური, გვერდების ნომრები:

ჩიქობავა, *იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია*, 50.

Johns, *Nature of The book,* 384-385.

ტექსტში ჩართული მითითების ფორმატი.

(ჩიქობავა, 1965, 36).

(Johns 1998, 623).

კრებული:

სქოლიო: ავტორის სახელი გვარი, „ნაწილის სათაური " წიგნში, *წიგნის სათაური* (გამოცემის ადგილი: გამომცემელი, წელი), გვ. X.

John Charles Chasteen, "Neocolonialism." In *Born in Blood and Fire: A Concise History of Latin America* (New York: W.W. Norton & Company, 2001), 190-91.

ბიბლიოგრაფია: ავტორის გვარი, სახელი. „ნაწილის სათაური" წიგნში. *წიგნის სათაური.* გამოცემის ადგილი: გამომცემელი, წელი.

Chasteen, John Charles. "Neocolonialism." In *Born in Blood and Fire: A Concise History of Latin America*. New York: W.W. Norton & Company, 2001.

პერიოდიკა:

სქოლიო: სტატიის ავტორის სახელი გვარი, „სტატიის სათაური: ქვესათაური," ჟურნალის სახელწოდება ჟურნალის ნომერი (ჟურნალის გამოსვლის თარიღი): გვ. X.

Nancy L. Green, "The Politics of Exit: Reversing the Immigration Paradigm," Journal of Modern History 77 (June 2005): 275.

ბიბლიოგრაფია: სტატიის ავტორის გვარი, სახელი. „სტატიის სათაური: ქვესათაური.“ ჟურნალის სახელწოდება ჟურნალის ნომერი (ჟურნალის გამოსვლის თარიღი): მთლიანი სტატიის გვერდების ნომრები.

Green, Nancy L. “The Politics of Exit: Reversing the Immigration Paradigm.” Journal of Modern History 77 (June 2005): 263-89.

ინტერნეტრესურსი: ინტერნეტში გამოქვეყნებული სტატია

სქოლიო: ავტორის სახელი გვარი, „სტატიის სათაური,“ ჟურნალის სახელწოდება ჟურნალის ნომერი (გამოსვლის თარიღი), ქვესათაურის „ქვესათაური“ ქვეშ, URL მისამართი (წვდომის თარიღი).

> Brian Uzzi and Jarrett Spiro, “Collaboration and Creativity: The Small World Problem,” American Journal of Sociology 111, no. 2 (September 2005), under “Milgram’s Small World Theory,” http://www.journals.uchicago.edu/AJS/journal/issues/v111n2/090090/090090.html (19.12.2005).

ბიბლიოგრაფია: ავტორის გვარი, სახელი. „სტატიის სათაური.“ ჟურნალის სახელწოდება ჟურნალის ნომერი (გამოსვლის თარიღი). URL მისამართი (წვდომის თარიღი).

Uzzi, Brian, and Jarrett Spiro. “Collaboration and Creativity: The Small World Problem.” American Journal of Sociology 111, no. 2 (September 2005). http://www.journals.uchicago.edu/AJS/journal/issues/v111n2/090090/090090.html (19.12.2005).

ონლაინ მონაცემთა ბაზა

სქოლიო: დოკუმენტის ავტორის სახელი გვარი, დოკუმენტის სათაური, მონაცემთა ბაზაში - მონაცემთა ბაზის სახელი, URL მისამართი (წვდომის თარიღი).

Pliny the Elder, The Natural History, ed. John Bostock and H. T. Riley, in the Perseus Digital Library, http://www.perseus.tufts.edu/cgi-bin/ptext?lookup=Plin.+Nat.+1.dedication (31.03.2006).

ბიბლიოგრაფია: დოკუმენტის ავტორის გვარი, სახელი. დოკუმენტის სათაური. მონაცემთა ბაზაში - მონაცემთა ბაზის სახელი. URL მისამართი (წვდომის თარიღი).
და / ან მონაცემთა ბაზის სახელი. URL მისამართი (წვდომის თარიღი).

Perseus Digital Library. http://www.perseus.tufts.edu/ (01.02-31.03.2006).

კონფერენციის მასალები:

სქოლიო: მომხსენებლის სახელი გვარი, „მოხსენების სათაური“ (მოხსენების ფორმა, მოხსენების წაკითხვის ადგილი, თარიღი).

John Troutman, “India Blues: American Indians and the Politics of Music, 1890-1935” (lecture, Newberry Library, Chicago, IL, February 2, 2005).

ბიბლიოგრაფია: მომხსენებლის გვარი, სახელი. „მოხსენების სათაური.“ მოხსენების ფორმა, მოხსენების წაკითხვის ადგილი, თარიღი.

Skocpol, Theda. “Voice and Inequality: The Transformation of American Civil Democracy.” Presidential address, annual meeting of the American Politician Science Association, Philadelphia, PA, August 28, 2003.

დისერტაცია:

სქოლიო: ავტორის სახელი გვარი, „დისერტაციის სათაური“ (დისერტაციის ტიპი, სამეცნიერო დაწესებულება, წელი), XX.

Karen Leigh Culcasi, “Cartographic Representations of Kurdistan in the Print Media” (Master’s thesis, Syracus University, 2003), 15.

ბიბლიოგრაფია: ავტორის გვარი, სახელი. „დისერტაციის სათაური.“ დისერტაციის ტიპი, სამეცნიერო დაწესებულება, წელი.

Murphy, Priscilla Coit. “What a Book Can Do: Silent Spring and Media-Borne Public Debate.” PhD diss., University of North Carolina, 2000.

იხ. უფრო მეტი:

The Chicago Manual of Style: the Essential Guide for Writers, Editors, and Publishers ნებისმიერი გამოცემა.

4.8 დანართი

დანართში შეიძლება გადატანილ იქნას პირველადი მონაცემების ცხრილები, კითხვარები და სხვა ვრცელი მასალა, რომელთა მოყვანა ძირითად ტექსტში მიზანშეწონილი არ არის.

5. პლაგიატი

პლაგიარიზმი გულისხმობს სხვისი შრომი, იდეების, ტექსტის, მეთოდების, მონაცემების მითვისებას შესაბამისი დამოწმების გარეშე. პლაგიარიზმი არ შემოიფარგლება მხოლოდ ტექსტის გადმოკოპირებით, აკადემიური პლაგიატი გულისხმობს იმას, რომ განვითარებული მსჯელობა, მეთოდები და გამოყენებული მონაცემები ისეთნაირად არის წარმოჩენილი ნაშრომში, რომ ერთმნიშვნელოვნად აშკარა არ არის მათი წყარო. მაგალითად, ლიტერატურის მიმოხილვისას ან თეირული ჩარჩოს განვრცობისას აშკარა უნდა იყოს ვის იდეებს და შრომებს ეყრდნობა კოკრეტული მსჯელობები.

6. ნაშრომის ჩაბარების და დაცვის პროცედურა

სადისერტაციო ნაშრომის წარდგენამდე, დოქტორანტს გავლილი უნდა ჰქონდეს კურუკულუმით დადგენილი სასწავლო და კვლევითი კომპონენტები, დაგროვებული უნდა ჰქონდეს შესაბამისი კრედიტები (მინიმუმ 180) და გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს სტატია სადისერტაციო საბჭოს მიერ რეკომენდირებულ ან/და საერთაშორისო იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში (ან უნდა წარმოადგინოს ოფიციალური ნებართვა ჟურნალის რედაქციიდან სტატიის გამოქვეყნებაზე დასტურის შესახებ).

1. დოქტორანტი და ხელმძღვანელი კოორდინატორს აწვდიან სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნას სადისერტაციო ნაშრომის საჯაროდ განხილვის მზაობის შესახებ. სადისერტაციოვის მზაობის შესახებდინატორს აწვდიან სამეცნიტაციას, რომლებსაც კოორნიდატორი განსახილველად უგზავნის შესაბამის სამეცნიერო მიმართულების კომისიას.
2. დგება სამეცნიერო მიმართულების კომისიის სხდომა სადაც განიხილება რეცენზენტების ვინაობა, დისერტაციის დაცვის კომისიის შემადგენლობა და დაცვის თარიღი.
3. დგება სადისერტაციო საბჭოს სხდომა სადაც განიხილება სადისერტაციო ნაშრომის საჯაროდ განხილვის საკითხი, ინიშნება დაცვის თარიღი (დაცვა უნდა მოხდეს ნაშრომის სადისერტაციო საბჭოში წარდგენის დღიდან 3 თვის განმავლობაში), ხდება დისერტაციის დაცვის კომისიის წევრების დამტკიცება და მისანიჭებელი ხარისხის (დარგის/მიმართულების) განსაზღვრა.
4. დოქტორანტი კოორდინატორს აწვდის სადისერტაციო ნაშრომის შეკრულ, ფიზიკურ ვერსიას, რომელიც გადაეცემა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას.
5. რეცენზენტების წერილობითი რეცენზიები და შეფასებები ეგზავნება დოქტორანტს დისერტაციის დაცვამდე არაუგვიანეს 1 თვით ადრე.

დაცვა

1. დაცვის რეგლამენტი:

მისალმება/წარდგენა - სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის დეკანი
ინიშნება დისერტაციის დაცვის კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

1. სამეცნიერო ხელმძღვანელის მიმართვა
2. დისერტანტის მოხსენება
3. რეცენზია
4. დისერტანტის პასუხი
5. რეცენზია
6. დისერტანტის პასუხი
7. დისკუსია
8. ფარული კენჭისყრა
9. შედეგის გამოცხადება
10. ფურშეტი

2. დაცვის დასრულების შემდგომ, ტარდება ფარული კენჭისყრა და ივსება შეფასების ფორმები. შეფასების გამოცხადება საჯაროა.